არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის შეფასება 2 თებერვალს განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით

03.02.2025

არასამთავრობო ორგანიზაციების სამართლებრივი დახმარების ქსელის იურისტები მშვიდობიანი დემონსტრანტების უფლებების დაცვას აგრძელებენ. გასული ღამის განმავლობაში, ქსელის ცხელ ხაზზე შემოვიდა შეტყობინება 26 პირის დაკავების თაობაზე. ადვოკატებმა დაკავებულთა მონახულება დაკავებიდან რამდენიმე საათის შემდეგ შეძლეს. დაკავებულები საუბრობენ პოლიციელთა მხრიდან მათ მიმართ დაკავებისას და დაკავების შემდგომ ფიზიკურ ძალადობაზე. ქსელის ინფორმაციით, დაზიანებების სიმძიმის გათვალისწინებით, 5 პირი სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსდა.

აღსანიშნავია, რომ საპოლიციო ძალები მთელი საღამოს განმავლობაში ცდილობდნენ, ხელი შეეშალათ მშვიდობიანი დემონსტრანტებისთვის შეკრების უფლების განხორციელებაში. ისინი თვითნებურად აკავებდნენ და ფიზიკურად უსწორდებოდნენ მათ, ამასთან, რამდენიმე ეპიზოდში ადგილი ჰქონდა აქციის მონაწილეთა ისეთ შევიწროებას, რაც ჭყლეტვის და ჯანმრთელობის დაზიანების საფრთხეს ქმნიდა. ფიზიკურ ანგარიშსწორებასთან ერთად, ცალკეული სამართალდამცავები სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდნენ დემონსტრანტებს, განსაკუთრებით კი, ქალებს. დაკავებულთა ნაწილი საუბრობს დაკავების შემდგომ, ავტომობილებში პოლიციელების მხრიდან ძალადობაზე. დაშავებულთა შორის არის ჟურნალისტი ნიკო კოკაია. იგი პროფესიული საქმიანობის შესრულებისას დაშავდა და მისი კლინიკაში გადაყვანა გახდა საჭირო.

საჯაროდ გავრცელებული კადრები მოწმობს, რომ შსს მშვიდობიანი დემონსტრანტების მიმართ კვლავ აგრძელებს არასათანადო მოპყრობის პრაქტიკას. ტვ პირველის მიერ გავრცლებული კადრები ადასტურებს, რომ დაკავებულ პირზე ძალადობაში უშუალოდ მონაწილეობს გდდ-ს ხელმძღვანელი **ზვიად ხარაზიშვილი,** რომელთანაც დაკავებული პირი სამართალდამცავებს ფიზიკური ანგარიშსწორებისთვის მიჰყავთ. ასევე, გავრცელდა კადრები, თუ როგორ მიუთითებს აღნიშნული პირი საპოლიციო ძალებს კამერების წინ მოერიდონ დემონსტრანტებზე ძალადობას.

დაკავებულთა შორის იყო არასრულწლოვანიც, რომლის ადგილსამყოფელიც რამდენიმესაათიანი ძებნის შემდეგ დადგინდა – ის შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის გზატკეცილზე მდებარე ადმინისტრაციულ შენობაში იმყოფებოდა. ადვოკატს არ მიეცა არასრულწლოვან დაკავებულთან კომუნიკაციის შესაძლებლობა. მხოლოდ მისი დაჟინებული მოთხოვნით, ხელწერილის საფუძველზე გათავისუფლების შემდეგ, ის თავად გამოიყვანეს შენობიდან. დაკავებული ადვოკატთან საუბრისას აღნიშნავს, რომ არის ნაცემი და მას დაკავების შემდეგ ამოაცალეს ტელეფონი და საფულე. დაკავებულთა უმეტესობა ამ დრომდე დროებითი მოთავსების იზოლატორებში იმყოფება. ამ დროისთვის, ადვოკატებისთვის არაა ცნობილი, დაკავებულები 24 საათის გასვლისთანავე დატოვებენ იზოლატორებს თუ შინაგან საქმეთა სამინისტრო კვლავ განაგრძო ბს სრულიად უსაფუძვლოდ, მაქსიმალური, 48 საათიანი ვადის გამოყენების მავნე პრაქტიკას.

მოვუწოდებთ, გენერალურ პროკურატურასა და სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს, მომხდარზე აწარმოოს დროული და ეფექტიანი გამოძიება სათანადო კვალიფიკაციით და დაუყოვნებლივ დაიწყოს შესაბამისი სამართალდამცველების, მათ შორის, ზვიად ხარაზიშვილის (ხარებას) მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა.

ჩვენ ვაგრძელებთ უკანონოდ დაკავებული ყველა პირის დაცვას!

ხელმომწერი ორგანიზაციები:

- *საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია*
- *სამოქალაქო საზოგადოების ფონდი*
- *საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო*
- *ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი*
- *უფლებები საქართველო*
- *დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი*
- *საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა*
- *უფლებადამცველთა გაერთიანება – ადამიანის უფლებათა ცენტრი*
- *სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება*
- *პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის*
- *სოციალური სამართლიანობის ცენტრი*
- *ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი*
- *ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი*